პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

11 ნოემბერი

შაბათი

№ 131 (817)

გამოცემის მე-18 წელი.

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ახალგაზრდობის დღე

მსოფლიოს სიჩაუქე

1945 წელს, 10 ნოემბერს შეიქმნა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია, ხოლო ეს დღე ახალგაზრდობის საერთაშორისო დღედ იქნა გამოცხადებული. ახალგაზრდობის დღე შემოღებულ იქნა თითქმის მაშინვე, როცა მსოფლიოზე ის-ის იყო გადიგრიალა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უფრო საშინელმა, სისხლისმღვრელმა ომმა და ფაშისტური მხეცი თავისივე ბუნაგში იქნა განადგურებული.

ასეთი მრავლისმეტყველი იყო მსოფლიო ახალგაზრდობის ორგანიზაციისა და საერთაშორისო დღის დაბადების მომენტი. ეს იყო თავისებური სიმბოლო იმისა, რომ ახალი თაობა, რომელმაც ომგადახდილი, ნანგრევებად ქცეული ქვეყანა მიიღო მძიმე მემკვიდრეობად, განახლებული, აყვავებული, აღორძინებული მსოფლიოს შექმნას უნდა შედგომოდა მთელი თავისი მჩქეფარე ენერგიით, მსოფლიოსი, რომლის ცაზეც აღარ შეიკვრებოდა ომისა და განადგურების ბნელი ღრუბლები, რომლის დედიზიც იქნებოდა კეთილშობილური შრომა ხალხებისა და ქვეყნების საკეთილდღეოდ.

ასეთი დიადი მიზნებით გაერთიანდა ჩვენი პლანეტის დემოკრატიული ახალგაზრდობა, რომელმაც მართლაც შეძლო, თავისი ორგანიზაციის არსებობის 16 წლის მანძილზე, გაეკეთებინა ბევრი კეთილი საქმე, დემოკრატიზმის, ჰუმანიზმის, პროგრესის იდეებით აღეზარდა ახალი თაობის მილიონობით წარმომადგენლები, რომლებიც ახლა მთელს მსოფლიოში წინ აღუდგებიან ომისა და ბნელეთის მოციქულთა საქმეებს.

გუშინ ჩვენმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა — მსოფლიო დემოკრატიული ახალგაზრდობის ავანგარდის წარმომადგენლებმა — განსაკუთრებულ ვითარებაში აღნიშნეს თავიანთი საერთაშორისო დღე, მაშინ, როცა ეს-ესაა მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ, კომუნიზმის მშენებელთა ყრილობამ, რომელმაც საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ დღევანდელი თაობა იცხოვრებს კაცობრიობის სანუკვარ მომავალში — კომუნისტურ საზოგადოებაში.

ეს დიადი მიზანდასახულება კიდევ უფრო მტკიცე რწმენით აღავსებს ყველა პროგრესულად მოაზროვნე ჭაბუკსა და ქალიშვილს ეს დიადი მიზანდასახულება განსაზღვრავს მსოფლიო დემოკრატიული ახალგაზრდობის მთელს საქმიანობასაც, რომლის მიზანია ახალი თაობის ბედნიერი, მშვიდობიანი და ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან თავისუფალი არსებობა.

7 ნოემბერს ჩვენი ქვეყნის ხალხმა ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 44-ე წლისთავი. მშრომელთა ხალხმრავალმა დემონსტრაციებმა ერთხელ კიდევ ნათელყო დიადი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ურღვევი ერთიანობა.

ჩვენი ხალხის დიადი დღესასწაული ზეიმით აღნიშნეს აგრეთვე მსოფლიოს ქვეყნების მშრომელებმა.

* * *

სურათებზე აღბეჭდილია რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაციის ამსახველი მომენტები.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა.

დაიწყო გრძოლები ყინულზე

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის გათამაშებით, რომელიც მოიგო შარშანდელმა ჩემპიონმა — ცსკა-მ, დაიწყო ჰოკეის ახალი სეზონი. აღსანიშნავია, რომ ამ პრიზის მოპოვებისათვის დასკვნითი, ფინალური მატჩის ჩატარება არმიელებს მოუხდათ მოსკოვის რკინიგზელებთან. გავიდა სულ რაღაც ოთხი დღე და იგივე გუნდები კვლავ გამოვიდნენ ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის ყინულოვან სარბიელზე. ამჯერად ეს იყო პირველი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. ლოკომოტიველებმა შეძლეს რევანშის აღება — 4:1 და ჩვენი ქვეყნის ცხრაგზის ჩემპიონმაც მარცხით დაიწყო „ჰოკეის მარათონი“. მაგრამ, ეს არ იყო ცსკა-ს ერთადერთი წარუმატებლობა ჩემპიონატის სტარტზე. ლენინგრადის არმიელებთან გამარჯვების (3:1) შემდეგ, მესამე ტურში ცსკა-მ კვლავ განიცადა მარცხი, ამჯერად — მოსკოვის „სპარტაკთან“ — 2:4 და გათამაშების ცხრილში მისთვის უჩვეულო ქვედა ადგილზე გადაინაცვლა. ბოლო გამარჯვებამ გორკის „ტორპედოსთან“ (6:1) ჯერ მხოლოდ უმნიშვნელოდ გამოასწორა ჩემპიონის მდგომარეობა.

მეოთხე ტურისათვის გათამაშების ცხრილს სათავეში ჩაუდგა მოსკოვის „ლოკომოტივი“. პირველი გამარჯვების შემდეგ რკინიგზელებმა კიდევ სამ მატჩში აიღეს ორორი ქულა და შესაძლებელი მაქსიმუმით — 8 ქულით გავიდნენ წინ. მათ კვალდაკვალ მიყვება მოსკოვის „სპარტაკი“, რომელსაც 3 მოგება და ერთი ფრე აქვს (ლენინგრადის სკა-სთან — 7:7) მესამე ადგილზე ოთხი ტურის შემდეგ იყო რიგის „დაუგავა“ (6 ქულა).

მეხუთე ტურში „ლოკომოტივმა“ კვლავ მოიპოვა გამარჯვება, ამჯერად ლიიეტ-თან — 7:1, მოსკოვის „სპარტაკმა“ ფრედ — 2:2 დაამთავრა მატჩი ჩელიაბინსკის „ტრაქტორთან“, ხოლო „დაუგავა“ ანგარიშით 1:3 დამარცხდა კუიბიშევის სკა-სთან. ცსკა-მ მოუგო კალინინის სკა-ს — 4:2.

მატჩ-რევანში ხუთ ქალაქში

დღეს, 11 ნოემბერს მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყება მატჩ-რევანში შაშში მსოფლიო ჩემპიონ ვ. შჩეგოლევსა (მოსკოვი) და ყოფილ ჩემპიონ ი. კუპერმანს (კიევი) შორის.

თითქმის ხუთი წელი გავიდა, რაც საბჭოთა მოშაშეები არიან ასუჯრიანი შაშის საერთაშორისო ფედერაციაში. ამ ხნის განმავლობაში მათი თამაშის მაღალმა კლასმა სრული აღიარება ჰპოვა. უკვე 1958 წელს კიეველმა ინჟინერმა ი. კუპერმანმა ხელიდან გამოაცალა მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი ჰოლანდიისა და საფრანგეთის მოშაშეებს, რომლებსაც აქამდე მონაპოლეა ჰქონდათ ათეული წლების მანძილზე. 1960 წელს საშაშო სამყაროში „გამეფდა“ 19 წლის ვ. შჩეგოლევი. მაგრამ საერთაშორისო ფედერაციამ ი. კუპერმანს დაუტოვა უფლება მატჩ-რევანშში კიდევ ერთხელ შეამოწმოს თავისი ძალა.

მატჩ-რევანშის დაწყების წინ საერთაშორისო გროსმაისტრებს ვ. შჩეგოლევსა და ი. კუპერმანს პირველებს საბჭოთა კავშირში მივნიჭათ შაშში საბჭოთა გროსმაისტრის მაღალი წოდება.

მატჩ-რევანშში გათამაშდება 20 პარტია. ვ. შჩეგოლევს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად ყოფნის შეჯიბრების ფრედ დამთავრება, მატჩ-რევანშის პირველი და ბოლო სამი პარტია გაიმართება მოსკოვში; ხუთი პარტია კიევში და სამ-სამი — მინსკში, ვილნიუსსა და ლენინგრადში.

მდგომარეობა IX ტურის შემდეგ (11 ნოემბრისათვის)

მონაწილენი	№	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
ს. ჰუნდსურენი (მონღოლეთი)	1	×	0	½	0	½	½	½	0	*								
ა. რინდერი (გფრ)	2	1	×	0	0	½	1	½	1									0
ვ. ნედელკოვიჩი (იუგოსლავია)	3	½	1	×	½	½	1	*									0	1
ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი)	4	1	1	½	×	½	1									½	0	0
გ. გრეხერი (აშშ)	5	½	½	½	½	×									1	½	0	0
შ. შოდე დე სილანი (საფრ.)	6	½	0	0	0		×							½	0	½	½	0
გ. კონარკოვსკა (პოლონეთი)	7	½	½	*				×					0	½	½	½	1	½
შ. ჰეემსკერკი (ჰოლანდია)	8	1	0						×			1	0	0	0	0	0	½
ლ. ვოლპერტი (სსრ კავშირი)	9	*								×	1	0	0	½	1	0	½	1
ტ. ზატულოვსკაია "	10									0	×	1	0	0	1	1	0	*
კ. ზვორიკინა "	11								0	1	0	×	½	1	1	0	*	
ნ. გაფრინდაშვილი "	12							1	1	1	1	½	×	1	½	1		
ვ. ბორისენკო "	13						½	½	1	½	1	0	0	×	*			
ლ. ლეინი (აშშ)	14					0	1	½	1	0	0	0	½	*	×			
ა. ნიკოლაუ (რუმინეთი)	15				½	½	½	½	1	1	0	1	1			×		
მ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია)	16			1	1	1	½	0	1	½	1	*					×	
ა. კარაკაშენე (უნგრეთი)	17		1	0	1	1	1	½	½	0	*							×

ვრნიაჩკა-ბანია (ტელეფონით). 7 ნოემბერს გაიმართა VIII ტური. დილით საბჭოთა მოჭადრაკეებს უცხოელმა კოლეგებმა მიულოცეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 44-ე წლისთავი.

რასაკვირველია, უურადღების ცენტრში იყო ლიდერთა შეხვედრები. გაფრინდაშვილი თამაშობდა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონ ლეინთან, ხოლო ზვორიკინა, ვოლპერტი და ზატულოვსკაია შეხვდნენ ნიკოლაუს, კარაკაშენსა და ლაზარევიჩს. ოთხივე პარტია თავიდანვე დაძაბულად წარიმართა. საქართველოს ჩემპიონის პარტია ლეინთან საინტერესო გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ გაფრინდაშვილი შავებით თამაშობდა, მაინც შეძლო პარტიის გათანაბრება. შემდეგ მან უკეთესი პოზიციაც კი მიიღო. მაგრამ ლეინმა ფიგურების გაცვლით მინიმუმამდე დაიყვანა იგი. ასეთ პოზიციაში პარტია გადაიდო. ქართველი ოსტატი თამაშის განუახლებლად შეურიგდა აიმს.

ვოლპერტმა დიდი მონდომებით ითამაშა უნგრეთის ჩემპიონ კარაკაშენესთან და გაიმარჯვა. წარმატებასთან ახლო იყო ზატულოვსკაია. ადრე მას არაერთხელ „დაუჩაგრავს“ ლაზარევიჩი. მაგრამ ამჯერად უმტკუნა ნებისყოფამ. საგრძნობლად უკეთეს ვითარებაში დაუშვა შეცდომა და დამარცხდა. წაგო პარტია აგრეთვე, ზვორიკინამ რუმინეთის ჩემპიონ ნიკოლაუსთან.

დანარჩენ შეხვედრებში ჰეემსკერკმა მოუგო ჰუნდსურენს, ნედელკოვიჩმა შოდე დე სილანს, ხოლო რინდერ-კონარკოვსკასა და პოლიქრონიადე-გრეხერის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

გადადებული პარტიების დამთავრებამ, რომელიც 8 ნოემბერს გაიმართა, სინათლე შეიტანა ლიდერთა მდგომარეობაში. ზატულოვსკაიამ დაამარცხა ლეინი და ნიკოლაუ. რინდერმა სძლია შოდე დე სილანს. ვოლპერტმა ვერ გამოიყენა უპირატესობა ლაზარევიჩთან და ყაიმით დაკმაყოფილდა. ასეთი შედეგით დასრულდა აგრეთვე, ჰეემსკერკ-კარაკაშენეს პარტია.

ნ. გაფრინდაშვილი განაგრძობს ლიდერობას

9 ნოემბერს პრეტენდენტები ისვენებდნენ.

• • •

საბჭოთა მოჭადრაკეთა დელეგაციის ხელმძღვანელმა იუგოსლავიაში გროსმაისტერმა ი. ბონდარევსკიმ ტელეფონით საუბარში აღნიშნა:

— სპორტული თვალსაზრისით ტურნირზე შეიქმნა მეტად დაძაბული მდგომარეობა. ძალზე ძნელია დაასახელო ე. ბიკოვას მომავალი პრეტენდენტი, — თქვა ი. ბონდარევსკიმ. დღეს საბჭოთა მოჭადრაკეებიდან მხოლოდ გაფრინდაშვილს აქვს გამარჯვების რეალური შანსები. დასაწყისში საბჭოთა მოჭადრაკეების შეხვედრებმა ერთმანეთში არამარტო შეამცირეს მათი მაჩვენებლები, არამედ ერთგვარად კიდეც დაუკარგეს მათ ინტერესი ბრძოლისადმი. მაგრამ სულით დაცემა არ სჩვეოდათ საბჭოთა ოსტატებს. ამიტომაც მათი უკანასკნელი შეხვედრები აღინიშნება თავდადებული თამაშით. ფინიშას მოახლოვებასთან ერთად იმატებს

ბრონსმაისტერი ი. ბონდარევსკი გამარჯვებისათვის ბრძოლის პერსპექტივების შესახებ

✦

მათი „მატჩები“ უცხოელ მოჭადრაკეებთან, რაც ბუნებრივია, კიდევ უფრო გაზრდის ინტერესს ტურნირისადმი.

— ახლა კი ტურნირის დღის წესრიგში დგას გაფრინდაშვილისა და იუგოსლაველი ლაზარევიჩის „დუელი“. ისინი საგრძნობლად დაწინაურდნენ, კარგ სპორტულ ფორმაში იმყოფებიან, პარტიებსაც განსაკუთრებული ენერგიით ატარებენ. იგრძნობა, რომ ისინი არ იშურებენ ძალას, ცოდნას, მაგრამ როგორია მათი შანსები?

— ლაზარევიჩი საკმაოდ გამოცდილი მოჭადრაკეა. იგი ჯერ კიდევ 1952 წელს მონაწილეობდა პრეტენდენტთა ტურნირში და მაშინ ყველა მოხიბლა თავისი თამამი თამაშით. განვლილი წლების მანძილზე საგრძნობლად დაიხვეწა მისი სტილი და კლასი. მან მრავალ

საერთაშორისო ტურნირში მოიპოვა პირველი ადგილი. კარგად თამაშობს ლაზარევიჩი წაბჭოთა მოჭადრაკეების წინააღმდეგ. ახლა 35 წლის იუგოსლავიის ჩემპიონი იბრძვის გამარჯვებაში დარწმუნებული. მაშინაც, როცა, ცუდი მდგომარეობა აქვს, იგი არ ჰკარგავს იმედს. იუგოსლაველს დარჩა ყველაზე სერიოზული შეხვედრები ზვორიკინასთან, გაფრინდაშვილთან, ბორისენკოსთან და ნიკოლაუსთან.

— გაფრინდაშვილს, მართალია, არ აქვს დიდი სპორტული ბიოგრაფია, მაგრამ რაც აქვს, იგი ბევრისმეტყველია. გაფრინდაშვილი ბუნებით დიდი საჭადრაკო ნიჭითაა დაჯილდოებული. ამჟამად ქართველი ოსტატი ამყღავნებს თავისი ტალანტის მრავალ მხარეს. მან დაამარცხა ვოლპერტი, ბორისენკო და ზატულოვსკაია ისე, თითქოს ადრეც მოეგო მათთვის, თუმცა ადრე უკეთეს შემთხვევაში ყაიმს აღწევდა. ეს ფაქტი მეტყველებს მის ოსტატობის ზრდაზე, ჯანსაღ ფსიქოლოგიაზე, ნერვებზე

და რწმენაზე თავის ძალებში. საყურადღებოა პარტიების ხასიათიც. ერთი სიტყვით გაფრინდაშვილმა ალაპარაკა არა მხოლოდ ტურნირის მონაწილენი, რომლებიც გაოცებული ან მობეზრებული არიან მისი მაჩვენებლებით, არამედ მთელი საჭადრაკო სამყარო.

საქართველოს ჩემპიონს საპასუხისმგებლო შეხვედრები ექნება ნიკოლაუსთან, ლაზარევიჩთან, კარაკაშენესთან და ნედელკოვიჩთან. ალბათ, ამ პარტიებში გადაწყდება — იქნება იგი პირველი თუ არა. მე არ ვილაპარაკებ როგორ შეიძლება განვითარდეს ბრძოლა ამ პარტიებში, მაგრამ ვიტყვი, გაფრინდაშვილს ყველა შესაძლებლობა აქვს თავის სასარგებლოდ წარმართოს ისინი. სპორტული ინტერესით ყველაზე საყურადღებოა გაფრინდაშვილის შეხვედრა ლაზარევიჩთან, რომელიც შედგება 11 ნოემბერს, X ტურში.

• • •

უკანასკნელ საათს!

გუშინ, 10 ნოემბერს, გაიმართა IX ტური, რომელშიც გაფრინდაშვილი შეხვდა ნიკოლაუს. პარტია დაიწყო სიცილიური დაცვით, რომელშიც საქართველოს ჩემპიონმა პაიკის შეწირვით თავიდანვე წამოიწყო მძლავრი იერიში. ორი მხედრისა და კუს ჰარმონიული მოქმედებით იგი დაეუფლა ცენტრალურ უჯრებს. ნიკოლაუ მატერიალური ზარალის გარდუვალობის წინაშე აღმოჩნდა. 31-ე სვლაზე ნიკოლაუ დანებდა.

ლაზარევიჩის ავადმყოფობის გამო მისი პარტია ზვორიკინასთან არ შედგა. გადაიდო აგრეთვე ბორისენკო-ლეინის (აგებს ბორისენკო), ზატულოვსკაია-კარაკაშენეს (იგებს კარაკაშენე), ვოლპერტ-ჰუნსურენის (ვოლპერტს სამი ზედმეტი პაიკი აქვს) და კონარკოვსკა-ნედელკოვიჩის (პოლონელს ზედმეტი პაიკი აქვს) პარტიები.

რინდერმა მოუგო ჰეემსკერკს და პოლიქრონიადემ — შოდე დე სილანს.

IX ტურის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილს 7 ქულა აქვს რვიდან.

დადგა ზამთრის სეზონი, მუშაობა შეწელდა

ზამთრის სეზონს არასათანადოდ მომზადებული შეხვდა ბორჯომის რაიონი. ქალაქში სამ სკოლას აქვს სპორტული დარბაზი და არც ერთი მათგანი არ არის სრულყოფილი. რკინიგზის № 15 საშუალო სკოლაში მოუწყობელია გასახდელი და საშხაპე, არ არის განათება, ჩამსხვრეულია მინები. მაშინ, როცა სწორედ ამ დარბაზში უხდება მუშაობა განათლების განყოფილების სპორტსკოლის ტანვარჯიშულ ჯგუფებს. ერთი გასახდელი ქიმიის კაბინეტად გადააკეთეს რუსულ საშუალო სკოლაში, პირველ საშუალო სკოლაში გასახდელის უქონლობის გამო სპორტსმენებს უშუალოდ დარბაზში უხდებათ გახდა, მეორე საშუალო სკოლას კი საერთოდ არავითარი ბაზა არ აქვს ზამთარში მუშაობისათვის. ანალოგიური მდგომარეობაა რაიონის სხვა საშუალო სკოლებში.

ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით რაიონულ სტადიონზე ოთხიოდე წლის წინათ დაიწყო სპორტული სკოლის დარბაზის მშენებლობა. იგი აშენდა. გადაიხურა, დარჩა სამუშაოთა მცირე ნაწილი და სწორედ მის დამთავრებას აღარ დაადგა საშველი. (სახსრების უქონლობას ვერ მოიმიზეზებენ აქ, რადგან განათლების სამინისტრომ დროზე გაატარა გადამჭრელი ღონისძიებანი და თუ სამუშაო დროულად ვერ დაამთავრეს, ისევ და ისევ განათლების რაიონულ განყოფილებას მიუძღვის დამსახურება.

განათლების სისტემის ფიზკულტურული კოლექტივები მწვავედ განიცდიან სპორტინვენტარის ნაკლებობასაც. განათლების სამინისტროს 1961-1962 სასწავლო წლის პროგრამის თანახმად, ყველა საშუალო სკოლას, სადაც 500-ზე მეტი მოსწავლეა, უნდა ჰქონდეს 100 წყვილი თხილამური, რომელთა 50 პროცენტი მაინც საბავშვო უნდა იყოს, რუსულ სკოლაში 900 მოსწავლეა და აქვთ მხოლოდ 3 წყვილი



თხილამური (!) და 10 წყვილი ციგურები. ეს სკოლა გამონაკლისი როდია.

რაიონის სავაჭრო ორგანიზაციები ცუდად ამარაგებდნენ მომხმარებლებს ზამთრის სპორტული ინვენტარით, მოთხოვნილება კი დიდია. სპორტკავშირში დავესწარით მწვრთნელების, ფიზკულტურის ინსტრუქტორების, ფიზიადრიდის მასწავლებელთა თათბირს — თუ როგორ ემზადებიან მათი კოლექტივები ზამთრის სეზონისათვის. ყველა გულისწყრომით ლაპარაკობდა ხარისხიანი ინვენტარის სიმცირეზე.

რაიონში ერთადერთი სპეციალიზირებული სპორტული მაღაზია ბაკურიანში და აქაც ვერ ვნახეთ საკმაოდ რაოდენობის, თუნდაც ზამთრის სპორტინვენტარი

ზამთრის სპორტული სეზონისათვის ცუდად მოემზადნენ რაიონის საწარმოო-დაწესებულებათა ფიზკულტურული კოლექტივებიც. მათი საქმიანობის შესწავლისას მინერალური წყლების ჩამომსხმელ ქარხანაში წავაწყდით არასასიამოვნო ფაქტს — ქარხნის დირექციის განკარგულებით სპორტთამაშების მოედანი გადაუქცევიათ ბოთლების საწყობად. ამგვარ ფაქტს აქ წინა წლებშიც ქონდა ადგილი, შემდეგ სპორტსმენთა ჩარევით დირექციამ ბაზები გაათავისუფლა, მაგრამ იმის გამო, რომ მიმდინარე წლის ზაფხულში აქ არავითარი სპორტული ღონისძიება არ ჩატარებულა, დირექციამ მისი ნაწილი ისევ საწყობად გამოიყენა.

მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება „სპარტაკის“, „ლოკომოტივისა“ და „შრომითი რეზერვების“ ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობაც. ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალია „კოლმეურნის“ ფიზკულტურული ორგანიზაციები და შეიძლება ითქვას, მათი უმეტესობა ცუდად როდი მუშაობს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ყველა კოლექტივზე. ქვაბისხევის, ჭობისხევის, ყვიბისის, გუჯარეთის კოლმეურნეობებში ყველა პირობა არაა გამოყენებული მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის განვითარებისათვის. ჭობისხევში (კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ა. მახარაშვილი), სოფლის ცენტრში არსებული სტადიონი გააუქმეს, ზამთრის სეზონში მთლიანად წყდება ფიზკულტურული მუშაობა და ამდენად ფიზკულტურული კოლექტივი ფაქტიურად მხოლოდ „მკვდარ სულს“ წარმოადგენს.

ბორჯომის სპორტკავშირს მრავალი ღონისძიება აქვს დაგეგმილი ზამთრის სეზონშიც. მაგრამ თუ რაიონის ხელმძღვანელობა არ შეასრულებს თავის იმ დანაპირებს, რომელიც რაიონის ფიზკულტურელებს აღუთქვეს პლენუმზე, როცა სპორტკავშირის ახალ შემადგენლობას ირჩევდნენ, საეჭვოა ყველა ვალდებულება გაანაღდონ, თუმცა ახლა რაისაბჭოს შემადგენლობაში შედარებით ენერგიულმა მუშაკებმა მოიყარეს თავი.

ო. ივდოშვილი,

ჩვენი სპეც. კორ.

ხურათზე: ახე გამოიყურება რაიონულ სტადიონზე არსებული სპორტული სკოლის დარბაზი, რომლის მცირე სამუშაოებს საშველი არ დაადგა.

ლ ე ლ ო

ფე-2 ფფ, № 181 (1817)

საკუთარი ძალებით

ეს იყო კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ფიზკულტურელთა კოლექტიურობის, მეგობრობისა და უსაზღვრო სიყვარულის დემონსტრირება; ქარხნის მოწინავე ადამიანები: ინჟინრები, კონსტრუქტორები და რიგითი მუშები ზეიმობდნენ თავიანთი ერთობლივი და უანგარო შრომის ნაყოფის ორმოცდაათმეტრიანი სასროლი ტირის დაბადებას.

ოპტიკური ხელსაწყოებითა და თანამედროვე ტექნიკური დანადგარებით აღჭურვილი ტირი, რომელიც თავისი კეთილმოწყობით არ ჩამოუვარდებოდა რესპუბლიკის საუკეთესო სასროლეთებს, ერთნაირად საყვარელი და ახლობელი იყო 5 ნოემბერს ტირის საზეიმო გახსნაზე მოსული ამხანაგებისათვის.

ტირის მშენებლობაზე დახარჯული 1279 სამუშაო საათი მეტად მცირე დრო იქნებოდა შრომატევადი სამუშაოების შესასრულებლად, სასროლო სპორტის საყვარულს რომ არ გაეერთიანებინა ყველა ის დურგალი, ზეინკალი, ქვისმჭრელი, მეარმატურე თუ მღებავი, რომელთა პროფესიულმა ცოდნამ თავისი გამოყენება საერთო საქმის დაგვირგვინებაშიც ჰპოვა.

ტირის საზეიმო გახსნაზე სიტყვით გამოსულმა დირექტორის მოადგილემ რ. ელენტმა დამსწრეებს მოუთხრო ქარხნის ტყვიით მსროლელთა სახელოვან ტრადიციებზე, რომელსაც 1954 წელს საათავე დაუდო სპორტის ოსტატმა კ. პროზოროვმა (ამჟამად ქარხნის რკინიგზის ტრანსპორტის საამქროს უფროსი). სექციის აქტიური წევრები და სამაგალითო სპორტსმენები არიან კონსტანტინეს ძმა — გიორგი და მეუღლე რაისაც, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის წამყვან სპორტსმენებს წარმოადგენენ და თავიანთ გამოცდილებას წარმატებით უზიარებენ ქარხნის ფიზკულტურელებს.

მათ გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდები საფუძვლიანად „ეზიარენ“ სპორტის ამ სახეობას და ქარხნის ტყვიით მსროლელთა სექცია დღეისათვის სპორტის ერთ ოსტატს, 6 პირველთანრიგოსანს, 6 მეორეთანრიგოსანს და 64 მესამეთანრიგოსანს აერთიანებს.

ამ საკმაოდ მოზრდილ კოლექტივს სამოქმედო არე ესაჭიროებოდა და ააგეს კიდეც ადრე ღია ტირი. გასულ წელს ქარხნის რეკონსტრუქციამ ზვარაკად შეიწირა სპორტსმენთა ნაშრომი და აქტივმა მაშინვე გადაწყვიტა აეშენებინა ახალი კაპიტალური ტირი.

კოლექტივის მოთხოვნას მხარი დაუჭირა პარტიულმა კომიტეტმა, ადგილკომმა და კომკავშირულმა ორგანიზაციამ. სხვანაირად არც შეიძლებოდა — ქარხნის ტყვიით მსროლელებმა მაღალი სპორტული მაჩვენებლებით დაიმსახურეს ეს მხარდაჭერა. ისინი საქართველოს ჩემპიონები არიან წლების მანძილზე საწარმოო კოლექტივთა შორის. ახლახან პარტიის XXII ყრილობისადმი მიძღვნილ საქალაქო სპარტაკიადაზე ქარხნის ტყვიით მსროლელთა კოლექტივმა მორიგ გამარჯვებას მიაღწია და პირველი ადგილი დაიკავა. პირად ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა კონსტრუქტორმა რაისა: პროზოროვამ, რომლის მეუღლე კ. პროზოროვი საქართველოს სპორტის ტექნიკურ სახეობათა 1961 წლის სპარტაკიადის ჩემპიონია პისტოლეტით სროლაში. ტირის საზეიმო გახსნაზე თბილისის დოსაფის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ე. ტაბაჩნიკოვმა დოსაფის აქტივისტის ნიშნები და საპატიო სიგელები გადასცა ადგილკომის თავმჯდომარეს თ. უსანეტაშვილს, ინსტრუქტორთა განყოფილების უფროს ტექნოლოგს გ. პროზოროვს, მეათე საამქროს უფროსს გ. ნიხლაძესა და სხვებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ტირის მშენებლობაში. მანვე აღნიშნა, რომ აღძრულია შუამდგომლობა ნ. კიზიკაძის (დირექტორი), ნ. გოგელიძისა (პარტკომი) და კ. პროზოროვის უმაღლესი ჯილდოთი — სსრკ დოსაფის საპატიო ნიშნით დაჯილდოებისათვის. ხელმძღვანელ აქტივისტებს სიგელები გადასცეს „ვანთადის“ რესპუბლიკური საქმისა და დოსაფის რაიონული კომიტეტის წარმომადგენლებმაც.

ქარხნის მსროლელ ქალთა სახელით დამსწრეებს ტირის გახსნა მეუღლეცა და ანალ ვალენტინოვამ აიღო მეორეთანრიგოსანმა სპორტსმენმა რესულ ბარამიძემ. მან ივალდებულა, რომ მიმდინარე წელს შეასრულებს პირველი თანრიგის ნორმატივს და თავის მხრივ მოამზადებს 10 მესამეთანრიგოსანს.

მსგავსი ვალდებულება, ოღონდ უფრო დიდი მასშტაბით, აიღო გ. პროზოროვმაც. იგი ვალდებულებას იღებს 1961—62 წლებში შეასრულოს სპორტის ოსტატობა და მოამზადოს ათი პირველი და მეორეთანრიგოსანი სპორტსმენი.

დასასრულს დამსწრეებმა დაათვალიერეს ფოტოსტენდები, ქარხნის მსროლელთა მიღწევების გამოფენა, აქაურ სპორტსმენთა მიერ რეკონსტრუირებული იარაღები და სხვა.

ბ. სამსონაძე

იალქნებით — თბილისის ზღვაზე

აფროსანთა ყოველი შეჯიბრება ჩვენს რესპუბლიკაში უდაოდ მისასალმებელია, რადგან სპორტის აგიტაციის ეს საუკეთესო საშუალება უფრო და უფრო მეტი რაოდენობით იზიდავს ახალგაზრდობას. და ალბათ, მალე მათ შორისაც აღიზრდებიან ისეთები, რომლებიც საკავშირო სარბიელზეც იტყვიან თავიანთ სიტყვას. ამის წინამძღვრები უკვე არის, იგი გამოვლინდა თბილისის ზღვაზე დამთავრებულ საქართველოს აფროსანთა პირადგუნდურ პირველობაზე.

ამ ღონისძიების ყველაზე დადებითი ის არის, რომ შეჯიბრებაზე მონაწილეობის სურვილი ხუთმა კოლექტივმა გამოთქვა. მართალია, ძალთა თანაფარდობა კვლავ არათანაბარი იყო და გამარჯვების სასწორი გუნდურ ჩათვლაში ისევ ბათუმელთა კარგად მომზადებული კოლექტივის მხარეს გადაიხარა, მაგრამ მეორე ადგილზე თბილისის პირველი კოლექტივის გამოსვლა უკვე ნათლად მეტყველებს, რომ სულ მალე მას პირველი ადგილის პრეტენზიაც ექნება.

გაკვირვებას იწვევს ფოთის კოლექტივის სუსტი მონაწილეობა. გუნდი (და ისიც არასრული) შეჯიბრებაზე ჩამოვიდა საკუთარი ინვენტარის გარეშე. მართალია, ფოთში განიცდიან ამ ინვენტარის ნაკლებობას, რადგან საქალაქო სპორტკავშირი არ ბრუნავს მათ შესაძენად, მაგრამ რა იქნა „ვოდნიკის“ ორი „ფინის“ კლასის იახტა? რატომ არ ისურვა „ვოდნიკის“ საბჭომ მიეცა ისინი სპორტსმენებისათვის, რომლებიც მათივე ქალაქის ინტერესებს იცავდნენ? როგორც ცნობილია, საიალქნო სპორტი შეტანილია ტოკიოს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში და ამის შესაბამისად გაიზრდება საკავშირო ღონისძიებანიც ამ სახეობაში. ფოთის „ვოდნიკის“ ხელმძღვანელთა მსგავსი მოქმედებით კი რესპუბლიკაში გაძნელდება გუნდის სათანადოდ მომზადება.

შეჯიბრება, რომელიც თბილისის ზღვაზე სამ დღეს გრძელდებოდა. ნამდვილად საინტერესო სანახაობას წარმოადგენდა, აქ იყო წმინდა ტექნიკის ჭიდილი — იმარჯვებს ის, ვინც უკეთ არჩევს გზას, განსაზღვრავს მამოძრავებელი ძალის — ქარის მიმართულებას და მისი ცვლილების მიხედვით ცვლის აფრების მდგომარეობასაც.

შეჯიბრების პროცესში, შემთხვევითობას რომ არ ჰქონდეს ადგილი, თვითეულ კლასში მონაწილეს ეძლევა ხუთი გაცურვა, საიდანაც ოთხის ჯამში გამარჯვებულს ენიჭება ჩემპიონობა. პირველ დღეს ეს საპატიო წოდება მოიპოვეს ბათუმელებმა, რომლებმაც „მ“ კლასის იახტებით შეჯიბრებაში ვაჟთა შორის არავის დაუთმეს პირველობა. ცხადია, ბათუმელთა ამ გამარჯვებაში დიდი დამსახურება მიუძღვის მესაჭეს ვ. კალფას (ეკიპაჟი ბ. მამფორია და ლ. გრიგორიანი). თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მათ მცირე უპირატესობით მოუგეს თბილისის პირველ კოლექტივს (მესაჭე — რ. გაჩეჩილაძე, ეკიპაჟი — კ. ვინცკევიჩი, ზ. კარაპეტიანი), თბილისის მეორე გუნდმა მოიპოვა მესამე ადგილი.

უფრო მცირე ზომისაა „ფინის“ კლასის იახტები, ამიტომაც მათ ამრიგად, ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ბათუმისა და სოხუმის „ვარსკვლავები“. წინასწარი შეთანხმების თანახმად მსჯავთა კოლეგიამ ერთგვარი ცვლილება შეიტანა გაცურვების რიცხვში — იგი ხუთიდან სამამდე შეამცირა. უკვე პირველი გაცურვა ბათუმელებმა მოიგეს მცირე უპირატესობით. მეორე — 6-მილიან ცურვაში სოხუმის გუნდმა არა თუ გამოასწორა ჩამორჩენა, არამედ 5.16 წუთით ჩამოიტოვა ბათუმის კოლექტივი, მაგრამ ბრძოლის უკანასკნელი აკორდი მესამე გაცურვაში უნდა შესრულებულიყო და ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ეს გაცურვაც ბათუმის კოლექტივის სასარგებლოდ დამთავრდა. გაცურვების მიხედვით ანგარიში ბათუმელებმა წაიყვანეს — 2:1, მაგრამ დრომ დიდი უპირატესობა სოხუმის კოლექტივს მიანიჭა და ჩემპიონობაც მათ დარჩათ.

ქალები გამარჯვებისათვის იბრძოდნენ „მ“ კლასსა და „ფინის“ კლასში. თუ უკანასკნელში ბრძოლები დამთავრდა, ისე როგორც ამას ვარაუდობდნენ სპეციალისტები, რომლებიც გამარჯვებას ბათუმელ ა. აკულოვას უწინასწარმეტყველებდნენ (მეორე იყო სოხუმელი ვ. ჩერნიაკოვა, მესამე — თბილისის I გუნდის წევრი ვ. სილკინა), „მ“ კლასის იახტებით შეჯიბრება დაძაბულობით არ ჩამოუვარდებოდა „ვარსკვლავებით“ ვაჟთა შეჯიბრებას.

ოთხ კოლექტივს შორის ძირითადი კონკურენტები ბათუმისა და თბილისის I გუნდები იყვნენ. მათ მატჩში ანგარიში ბათუმის გუნდმა გახსნა. მეორე გაცურვაში თბილისის I კოლექტივმა „გაიტანა საპასუხო გოლი“ და ახლა, ჰოკეისტთა ენაზე რომ ვთქვათ, ყველაფერი დამოკიდებული იყო მესამე „პერიოდზე“. სტარტიდანვე გამწვავდა ბრძოლა, მაგრამ მერე, საკმაოდ მოქნილი იახტის წყალობით დაწინაურდა ბათუმის კოლექტივი. იგი თითქმის მთელ დისტანციაზე წინ იყო 5-10 მეტრით და სწორედ ფინიშიდან რამდენიმე მეტრზე „წყალში ჩაყარა“ ყველაფერი — არასწორად წარმართეს ბრძოლა პირქარის წინააღმდეგ და დამარცხდნენ. თბილისელებმა ი. რევენკოვამ (მესაჭე), ს. კალიბერდამ და ნ. სახარჩენკომ მოიპოვეს ჩემპიონობა. სოხუმის გუნდი დარჩა მესამე ადგილზე.

ეს საინტერესო შეჯიბრება მაინც ვერ აცდა ხარვეზებს, რაც ზოგიერთი მსაჯის არაობიექტურობაში გამოვლინდა (განსაკუთრებით თბილისელთა მხრიდან).

ო. ველაშვილი

* * *

ხერათებზე. მარცხნივ — „ფინის“ კლასში ქალთა შორის გამარჯვებული ფინიშთან; მარჯვნივ — „მ“ კლასის იახტები განაგრძობენ რბოლას.

ლათინურ ამერიკასა და ინგლისში

მოსკოვი. (ტელეფონით). დღეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად მიემგზავრება ლათინური ამერიკის ქვეყნებში. აგრეთვე მოსალოდნელია, რომ თბილისის დინამოელები ეხტუმრებიან ბრაზილიასაც. გუნდის შემადგენლობაში 18 ფეხბურთელია. დინამოელთა კაპიტანმა შ. იამანიძემ გაგვიცხადა: იმის გამო, რომ მეხი და ჩოხელი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში 12 ნოემბერს ითამაშებენ სტამბოლში ფეხბურთში მხოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში თურქეთის ფეხბურთელებთან, გუნდში ამ დანაკლისის შეცვლების მიზნით მოწვეული არიან „დაუგავახ“ ცენტრალური თავდამსხმელი ხმირნოფი და მოსკოვის დინამოელები რიაბოვი და ნიკოლაევი. ჩვენი მიზანია გამარჯვებული დავბრუნდეთ. ვეცდებით მახპინძლებს ვუჩვენოთ ნამდვილი საბჭოთა ფეხბურთი.

საბჭოთა კავშირის 1961 წლის ჩემპიონი ფეხბურთში კიევის დინამოელები ინგლისელ ფეხბურთელებთან საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად გაფრინდნენ ლონდონში.

ადამიანებით ვაჭრობა

თქვენს წინაშეა მსხვილი იტალიური გაზეთის „კორერა დელა სერას“ საკვირაო სპორტული დამატების ყდა. მხატვარმა ვალტერ მოლინომ გამოსახა ფეხბურთის უცხოელი ვარსკვლავების ჯგუფი. თვითეულ მათგანს მკერდზე აქვს წარწერა სახელისა და ფასის აღნიშვნით. უკანა პლანზეა სარეკლამო პლაკატები: „საშემოდგომო ბაზარი“, „ფასები დაკლებულია“, „ისარგებლეთ შემთხვევით“. მოლინომ დახატა მხოლოდ ექვსი ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი, რომელთა სახელები არ ცოლდება ამგვარ ბაზრობას.

ვინ აირჩია თავისი ნახატის მოდელად ვ. მოლინომ? მარჯვნივ დგას ინგლისელი ჰიტჩენსი, ინგლისის ნაკრებისა და „ასტონ ვილას“ ცენტრალური თავდამსხმელი. ამჟამად იგი წარმოადგენს იტალიის მსხვილი მენავთობე მაგნატის, მილანის ცნობილი გუნდის „ინტერნაციონალეს“ მეპატრონის სენიორ მორატის საკუთრებას. ფეხბურთელს მკერდზე ასეთი წარწერა აქვს: „ჰიტჩენსი. 135 მილიონი. გაყიდულია“. მის გვერდით დგას ესპანური ფეხბურთის მშვენება და სიამაყე სუარესი. ისიც მორატის კლანჭებშია მოხვედრილი, თუმცა, იტალიელმა მაგნატმა საკმაო ხარჯი გაწია, ვინაიდან სუარესის ფასია 250 მილიონი ლირი. შუაში დგას განთქმული არგენტინელი ცენტრფორვარდი ანჯელილო, რომელიც ნაყიდი იქნა ჯერ კიდევ 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ და ეს არგენტინის ნაკრებს მძიმე იარად დაუჩნდა. ამჯერად მორატი გამოდის არა მყიდველის, არამედ გადამყიდველის როლში. მან არგენტინელი ფეხბურთელი 250 მილიონად გაასაღა, მაგრამ არ იფიქროთ, რომ ანჯელილო სამშობლოს დაუბრუნდა, ახლა იგი „რომას“, უფრო სწორად, სენიორ მონდადორის კუთვნილებაა, რომელიც იტალიის ერთ-ერთ პოლიგრაფიულ მაგნატს და „რომას“ მფარველს წარმოადგენს.

აი განთქმული პელეც. მისი შეძენისათვის იბრძოდნენ „ინტერნაციონალე“, „იუვენტუსი“ და „მილანი“, რომლებიც „შავი მარგალიტისათვის“ 600 მილიონ ლირს იძლეოდნენ. ფეხბურთელის მკერდზე ჯერჯერობით წარწერილია „წინადადება უარყოფილ იქნა“. პელეს გვერდით უდგას მისი თანამემამულე ალტაფინი, რომელიც საფეხბურთო სამყაროში მაცოლას სახელითაა ცნობილი. ნაცვლად იმისა, რომ მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ სკანდინავიიდან დაბრუნებულიყო სამშობლოში, მაცოლა ალტაფინად იქცა (ეს თითქოს მისი წინაპრების იტალიური გვარია) და მოხვდა „მილანის“ გუნდში. ამჟამად ალტაფინი გასაყიდადაა გამზადებული, ვინაიდან, მას მეჯვალის ხასიათი აღმოაჩნდა — და-მოთხოვა იტალიის ნაკრებში ჩარიცხვა. კლუბმა ეს ფასად დამთა. ალტაფინი 250 მილიონ ლირად. „მეორე სართულზე“ მოხვდა ინგლისელი გრივსი, „ჩელსის“ კლუბიდან. იგი 160 მილიონ ლირად (200 ათასი დოლარი) იყიდა „მილანმა“.

შეცდომა იქნება, თუ ვინმე იფიქრებს, რომ მაგნატები უბრალო მეცენატობას სწევენ და ფულებს ფანტავენ რეკლამის მიზნით. რა თქმა უნდა, არა. ისინი ამ მოთამაშეებზე ბიზნესს აკეთებენ ან ბალანსს ათანაბრებენ. „ინტერნაციონალემ“ 330 მილიონი ლირი დახარჯა სუარესის, ჰიტჩენსისა და ესპანელი უმბერტოს შეძენაში, სამაგიეროდ, 200 მილიონ ლირად მიყიდა „გენუას“ ფირმანი, დაპოზი, ფანგარო და რანკატი, პონტელი 55 მილიონად — „ნეაპოლს“ და ანჯელილო 250 მილიონად — „რომას“, ამგვარად, სენიორ მორატი მოგებაშია.

კარგი ბიზნესი გააკეთა სეფილიის კლუბმა „ბეტისმაც“, რომელმაც 1959 წელს იყიდა შვედი იანსონი 300 ათას პესეტად და სულ ახლახან გაყიდა იგი 800 ათასად.

ჯ. ჰიტჩენსმა ერთ-ერთ ინგლისურ გაზეთში გამოაქვეყნა სტატია, სადაც წერს იტალიაში თავისი წასვლის მიზეზებზე. მას მეტად ემძიმებოდა სამშობლოსა და თავის გულშემატკივრებთან განშორება, მაგრამ იგი პროფესიონალია და ამიტომ ვალდებულია იფიქროს საკუთარ მომავალზე. „ასტონ ვილამ“ ჰიტჩენსი გაყიდა 80 ათას გირვანქა სტერლინგად, საიდანაც თვით ფეხბურთელს ერგო მხოლოდ 12 ათასი.

ფეხბურთელებით ვაჭრობა თანამედროვე ბურჟუაზიული სპორტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო უხამსი, ბილწი მოვლენაა.

(„სპორტივნიე იგრი“).

რედაქტორი ი. უგულავა.



უნგრელთა ჯერნე სამხრეთ ამერიკაში

როგორც უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა ბუდაპეშტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, მსოფლიო ჩემპიონატისათვის უკვე მომზადების მიზნით ნაკრები იმოგზაურებს სამხრეთ ამერიკაში. ლ. ბაროტიმ გადაწყვიტა შეხვდეს ყველაზე უფრო ძლიერ გუნდებს და გაარკვიოს, თუ ძალთა რა თანაფარდობაა მსოფლიოში.

ტურნე იწყება მონტევიდეოდან, სადაც უნგრელები შეხვდებიან ურუგვაელებს. ამას მოყვება ორი უძნელესი მატჩი ბრაზილიელებთან. ბრაზილიისა და უნგრეთის გუნდების პირველი მატჩი გაიმართება სან-პაულოში, ხოლო მეორე — რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანას“ სტადიონზე. არანაკლებ საინტერესო იქნება დასკვნითი შეხვედრა ბუენოს-აირესში არგენტინის ნაკრებთან.

★

„უორლდ ფენის მეგეზინის“ აზრით

საერთაშორისო ჩოგბურთის ცნობილმა მცოდნემ ე. პოტერმა ნიუიორკის ჟურნალ „უორლდ ტენის მეგეზინში“ გამოაქვეყნა მოყვარულ ჩოგბურთელთა უძლიერესი ათეულების სია ქალთა და ვაჟთა შორის. აი როგორ გამოიყურება ეს სია:

ვაჟები: 1. რ. ემერსონი (ავსტრალია), 2. რ. ლეივერი (ავსტრალია), 3. პეტრანჯელი (იტალია), 4. მ. სანტანა (ესპანეთი), 5. ჩ. მაკ კინლი (აშშ), 6. რ. კრიშნანი (ინდოეთი), 7. მ. სენგსტერი (ინგლისი), 8. რ. ოსუნა (მექსიკა), 9. ლ. აიალა (ჩილი), 10. ე. ლუნდკვისტი (შვეცია).

ქალები: 1. ა. მონტიმერი (ინგლისი), 2. მ. სმიტი (ავსტრალია), 3. ა. ჰეიდონი (ინგლისი), 4. კ. ტრუმერი (ინგლისი), 5. ე. ჰერდი (აშშ), 6. კ. ჰანტცე (აშშ), 7. ს. რეინოლდსი (სამხრეთ აფრიკა), 8. ი. რემირეზი (მექსიკა), 9. ე. ბუდინგი (გფრ), 10. ლ. ტურნერი (ავსტრალია).

★

15 რაუნდის განმავლობაში

მილანი. 14 ათასი მაყურებელი დაესწრო მატჩს მსოფლიო პირველობაზე პროფესიონალ მოკრივეთა შორის. საშუალო წონაში მსოფლიო ჩემპიონი ლიო (იტალია) შეხვდა ამერიკელ ჰერკინსს. 15 რაუნდის განმავლობაში ვერც ერთმა მეტოქემ ვერ მიაღწია უპირატესობას და იტალიელმა ლიომ შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის წოდება.

ნიუ-იორკი. დიდძალი მაყურებელი მოვიდა მატჩზე ქვემძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის. განთქმული ზანგი მოკრივის არჩი მურის მეტოქე იყო ყოფილი ოლიმპიური ჩემპიონი პიტ რადემაჰერი, რომელიც კარგა ხანია პროფესიონალი გახდა.

მატჩის დასაწყისში რადემაჰერი აქტიურად უტევდა თავის მრისხანე მეტოქეს, ხოლო მსოფლიო ჩემპიონმა საკმაოდ უფერულად დაიწყო შეხვედრა. მაგრამ მე-4 რაუნდიდან მოყოლებული მან ზედიზედ „გაისტუმრა“ რადემაჰერი ნოკდაუნში. მე-6 რაუნდში ა. მურმა უძლიერესი დარტყმით ნოკაუტში ჩააგდო მეტოქე. აღსანიშნავია, რომ ა. მური თითქმის 50 წლისაა.

★

დიდი საერთაშორისო ჯურნირი

შვეიცის ჩოგბურთის ფედერაცია აწყობს დიდ საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც მონაწილეობას 12 ქვეყანა—პოლონეთი, დანია, ავსტრია, ბელგია, ფინეთი, საფრანგეთი, იტალია, იუგოსლავია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ჰოლანდია, ნორვეგია და შვეცია.

როგორც პოლონური გაზეთი „სპორტი“ იუწყება 18 და 19 ნოემბერს უნდა ჩატარდეს ამ საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალური მატჩები, ხოლო 24-26 ნოემბერს ფინალური მატჩი და შეხვედრა მესამე საპრიზო ადგილისათვის.

საბჭოთა ფეხბურთელები უცხოეთში

ინდონეზია. მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელებს თავიანთი პირველი მატჩი ჰქონდათ ჯაკარტაში ინდონეზიის ნაკრებთან. შეხვედრა დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

ბანა. ქ. ტოკარადში შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ რკინიგზელთა გუნდსა და მოსკოვის „ლოკომოტივს“ შორის. მოსკოველებმა მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 5:3.

თეირანი. აქ სტუმრად იმყოფებიან ერევნის „სპარტაკის“ ფეხბურთელები. ერევნელებმა პირველი მატჩი მოუგეს ირანის თასის მფლობელს „დარაის“ — 2:0. მეორე შეხვედრაში „სპარტაკმა“ დაამარცხა თეირანის ნაკრები — 3:1.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმარფი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05683